

## სატენდერო დოკუმენტაცია

ბანკნოტების და მონეტების სათვლელი მანქანების  
შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

(კლასიფიკატორის დანაყოფი 30100000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე.

ქ. თბილისი  
2012 წელი

## სარჩევი

ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად .....	3
1. ტენდერში მონაწილეობის უფლება .....	3
2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად .....	3
3. ტექნიკური დოკუმენტაცია .....	3
4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები .....	4
5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მოთხოვნები და ხარისხობრივი პარამეტრები .....	4
6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: .....	6
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	7
დანართი N1.....	12
დანართი N2.....	13
დანართი N3.....	14

# ინსტრუქცია

## ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

### 1. ტენდერში მონაწილეობის უფლება

1.1. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც გაცნობილია და ეთანხმება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს და არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკუთილსინდისიერ პირთა რეესტრში („შავი სია“).

### 2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

2.1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მოწყობილობების (ბანკნოტების ან მონეტების სათვლელელები, დეტექტორები, დამხარისხებლები, ბანკომატები და ა.შ) მიწოდების გამოცდილება.

### 3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- ინფორმაცია ანალოგიური ტექნიკის მიწოდების შესახებ;
- პრეტენდენტის სრული რეკვიზიტები (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბაკო რეკვიზიტები);
- ფასების ცხრილი დანართი N1 შესაბამისად;
- შემოთავაზებული ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლები დანართი N2-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ.

3.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი იმოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„h“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტის მოთხოვნებზე.

- a) სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული საქონელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს მე-5 პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს;
- b) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის თითოეული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).
- c) ტექნიკური დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ქართულ,

ისე უცხოურ ენაზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

- d) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადახდო დოკუმენტების (ანგარიში, ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება).
- e) დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადასახდელი ავანსის ექვივალენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ბოლო ვადას.
- f) ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით (დანართი N3-ის შესაბამისად), რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- g) სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის სრულყოფილად მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
- h) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები**

**4.1.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა პრეტენდენტს არ მოეთხოვება.

**5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მოთხოვნები და ხარისხობრივი პარამეტრები**

**5.1.** შესასყიდა ქვემოთ მოცემული საქონელი:

NN	დასახელება	რაოდენობა	მიწოდების მინიმალური ვადა (დღე)	გარანტიის მინიმალური ვადა (თვე)
1	ბამკნოტების სათვლელი სამაგიდო მანქანა	12	60	24
2	მონეტების სათვლელი მანქანა,	10	90	12

**5.2.** დეტალური მოთხოვნები, პარამეტრები და კომპლექტაცია მოცემულია ქვე-პუნქტებში 5.3 – 5.4 ქვემოთ.

**5.3. ბანკნოტების სათვლელი სამაგიდო მანქანა - 12 ერთეული.**

**5.3.1. ზოგადი მოთხოვნები:**

მანქანა უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული ვალუტის ყველა ნომინალის ბანკნოტის სწრაფ და სანდო დათვლას.

### 5.3.2. ტექნიკური პარამეტრები, ფუნქციები და კომპლექტაცია:

შემოთვალეული მანქანის ტექნიკური პარამეტრები, ფუნქციები და კომპლექტაცია უნდა იყოს კომპანია "Profindustry GmbH"-ის მიერ წარმოებული, PRO 85 მოდელის ექვივალენტური ან უკეთესი, კერძოდ:

- ა) **წონა და დიზაინი:** წონა - არაუმეტეს 5.5 კგ, დიზაინი - თანამედროვე, მაღლი ესტეტიკური დონის
- ბ) **ჩართვის/გაჩერების ავტომატური რეჟიმი:** მოწყობილობა უნდა ავტომატურად ჩართოს ბანკნოტების მიწოდებისთანავე და გამოირთოს, როგორც კი ყველა ბანკნოტი დაითვლება ან დაითვლება სასურველი რაოდენობა.
- გ) **დათვლის რეჟიმი:** მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს დათვლი 3 სიჩქარეს: (900/1200/1500) ბანკნოტი/წუთში
- დ) **დაკომპლექტების ფუნქცია (Batch Mode):** მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს 1 - 999 ბანკნოტის დაჯგუფებას/დაკომპლექტებას
- ე) **დამატების რეჟიმი (Add Mode):** მოწყობილობა უნდა გააჩნდეს დამატების რეჟიმი.
- ვ) **შეცდომების დეტექცია (Error Detection):** ოპტიკური სიმკვრივის დეტექცია, ზომის დეტექცია
- თ) **ინტერფეისი:** მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა გადატანას პერსონალურ კომპიუტერში, სტატისტიკური მონაცემების მენეჯმენტისათვის.
- ი) **დისპლეი:** გაფართოვებული LED-დისპლეი.
- კ) **თვითდიაგნოსტიკის ფუნქცია:** მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს შეცდომის ადგილის და ტიპის ჩვენება დისპლეიზე
- ლ) **სპეციფიკაცია:**
  - მაქსიმალური გაზარიტები (მმ): 270 x 250 x 240;
  - მაქსიმალური წონა (კგ): 5.5;
  - დასათვლელი ბანკნოტების ზომები (მმ): 40 x 100-დან, 90 x 180-მდე;
  - დათვლის სიჩქარე (ბანკნოტი/წუთში): 900/1200/1500;
  - ჩასატვირთი ბუნკერის წარმადობა (ბანკნოტი): 500;
  - დათვლილი ბანკნოტების თაროს წარმადობა (ბანკნოტი): 200;
  - დისპლეიზე გამისახული ციფრების ოდენობა: 1 – 999;
  - კვება: ცვლადი დენი, 100/220ვოლტი, 50 ჰერცი, 5 ვატი;

5.3.3. **მიწოდების ვადა:** მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს ერთიანად ან ეტაპობრივად, არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღისა ხელშეკრულების გაფორმებიდან, შემსყიდველის მისამართზე.

5.3.4. **გარანტია:** მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო ვადა, არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) თვისა.

5.3.5. მანქანის მწარმოებლისათვის სატესტო ბანკნოტების გაგზავნის აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ბანკნოტების მიმწოდებლისათვის გადაცემას, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის სანაცვლოდ. საბანკო გარანტია უნდა

იყოს გადაცემული ბანკნოტების ნომინალური ფასის ექვივალენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მოწოდების ბოლო ვადას.

#### 5.4. მონეტების სათვლელი მანქანა - 10 ერთეული

##### 5.4.1. ზოგადი მოთხოვნები:

მანქანა უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული ვალუტის ყველა ნომინალის მონეტის ( 1, 2, 5, 10, 20, 50 თეთრის და 1, 2, 5, 10 ლარის) სწრაფ და სანდო დათვლას და დეტექციას.

##### 5.4.2. ტექნიკური პარამეტრები, ფუნქციები და კომპლექტაცია:

შემოთვაზებული მანქანის ტექნიკური პარამეტრები, ფუნქციები და კომპლექტაცია უნდა იყოს კომპანია "Standardwerk Eugen Reis GmbH"-ის მიერ წარმოებული, CC 2000 მოდელის ექვივალენტური ან უკეთესი.

##### 5.4.3. სპეციფიკაცია:

- დათვლის მაქსიმალური სიჩქარე: 2600 მონეტა/წუთში;
- მაქსიმალური სიმაღლე: 345მმ;
- მაქსიმალური სიგანე: 500მმ;
- მაქსიმალური სიღრმე: 375მმ;
- მაქსიმალური წონა: 40კგ;
- კვების წყაროს ნომინალური პარამეტრები: ცვლადი დენი, 220 ვოლტი, 50 ჰერცი;

##### 5.4.4. მიწოდების ვადა:

მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს ერთიანად ან ეტაპობრივად, არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა ხელშეკრულების გაფორმებიდან, შემსყიდველის მისამართზე.

##### 5.4.5. გარანტია:

მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო ვადა, არანაკლებ 12 (თორმეტი) თვისა.

5.4.6. მანქანის მწარმოებლისათვის სატესტო მონეტების გაგზავნის აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის მონეტების მიმწოდებლისათვის გადაცემას, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის სანაცვლოდ. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადაცემული მონეტების ნომინალური ფასის ექვივალენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მოწოდების ბოლო ვადას.

#### 6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

##### 6.1. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ზურაბ ღონღაძე: ტელ: 2406 369; ელ.ფოსტა: [zgongadze@nbg.gov.ge](mailto:zgongadze@nbg.gov.ge)

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: [nchukhrukidze@nbg.gov.ge](mailto:nchukhrukidze@nbg.gov.ge)

**შენიშვნები:**

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი  
ხელშეკრულება N**

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.*

ქ. თბილისი

2012 წელი

**შემსყიდველი:** ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი“

**მისამართი:** თბილისი, 0105, ლეონიძის ქ. 3/5;

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203 824 148.

**მიმწოდებელი:** \_\_\_\_\_

**იურიდიული მისამართი:** \_\_\_\_\_

**ფაქტიური მისამართი:** \_\_\_\_\_

**საიდენტიფიკაციო კოდი:** \_\_\_\_\_

**საბანკო რეკვიზიტები:** \_\_\_\_\_

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება № SPA12000\_\_\_\_) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბანკნოტების და მონეტების სათვლელი მანქანების (შემდგომში „საქონელი“) მიწოდება დანართების N1-ის და N2 და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV კოდი – 30132200, 30123620).

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე

განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

- 2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სებ–ის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ზარქუა და შესყიდველის და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

### **3. საქონლის მიღება ჩაბარების წესი**

- 3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს ერთიანად ან ეტაპობრივად, დანართში N2 მითითებულ ვადებში, შემსყიდველის მისამართზე.
- 3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.3. შემსყიდველის მხრიდან 3.2 პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდველის და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

### **4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ლარს („ხელშეკრულების ფასი“).
- 4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- 4.3. მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის მიღებიდან და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიში, საგადასახადო ა/ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.5. დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადასახდელი ავანსის ექვივალენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ბოლო ვადას.

### **5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული შესყიდვის ობიექტი.
- 5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.3. მანქანის მწარმოებლისათვის სატესტო ბანკნოტების და მონეტების გაგზავნის აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ბანკნოტების და მონეტების მიმწოდებლისათვის გადაცემას, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის სანაცვლოდ. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადაცემული ბანკნოტების და მონეტების ნომინალური ფასის ექვივალენტურ თანხაზე



და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მოწოდების ბოლო ვადას.

- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
- 5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს მისი ღირებულება.

## 6. გარანტია

- 6.1. საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას უწყესიერობა ან შეცვალოს საქონელი, შეადგენს \_\_\_\_\_ თვეს საქონლის მიღებიდან.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
- 7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
- 7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 7.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 10%-ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

## 8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- 8.1. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, გამოყენებული იქნება:
  - ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შემსყიდველის ინიციატივით გაწყვეტის შემთხვევაში.
  - ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ან ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება;
  - ბ) მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების დაუსაბუთებლად გაწყვეტის შემთხვევაში.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- 9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **10. დაუძლეველი ძალა**

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
- 10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## **11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

- 11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

- 12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **13. ზოგადი დებულებები**

- 13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
- 13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**შემსყიდველის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,  
ხელმოწერა და თანამდებობა)*

**მიმწოდებლის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,  
ხელმოწერა და თანამდებობა)*

ფასების სხრილი

პრეტენდენტი \_\_\_\_\_

N	დასახელება, მოდელი, მარკა, მწარმოებელი	რაოდენობა (ცალი)	ფასი (ლარი)	
			ერთეულის	საერთო
1	ბამკნოტების სათვლელი სამაგიდო მანქანა	12		
2	მონეტების სათვლელი მანქანა,	10		
<b>სულ:</b>				

**შენიშვნა:**

1. წარმოდგენილი ფასი მოიცავს ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

---

(უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი)

---

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

ბ.ა.

შემოთავაზებული ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლები

დასახელება, მოდელი, მარკა	ტექნიკური პარამეტრები და კომპლექტაცია	მწარმოებელი

---

(უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი)

---

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

ბ.ა.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_  
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_  
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მიმწოდებელმა” \_\_\_\_\_ ტენდერში წარდგენილი თავისი  
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე \_\_\_\_\_  
(თანხა ციფრებით)

\_\_\_\_\_  
(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.  
წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

-----

-----  
(თარიღი)

-----  
(მისამართი)